პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის __ აგვისტო

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2026 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარის მ/შემსრულებელი — შალვა კილაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482622973**
თარიღი: **17/08/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2026 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2026 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნას და განახლებას; სახელმწიფო საკუთრების ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაზე ზედამხედველობას, წინადადებებისა და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალური ქონების შექმნის, შეძენის, პრივატიზების ან სარგებლობაში გადაცემის საკითხებზე; რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონების პრივატიზებასა და სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით; მუნიციპალური ქონების საპრივატიზებო ნუსხის პროექტის მომზადებას; საპრივატიზაციო ან სარგებლობით გადასაცემი ქონების დოკუმენტაციის მომზადება; საჯარო და/ან ელექტრონული აუქციონისათვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას; შეიმუშავებს წინადადებებს მუნიციპალიტეტის ძირითად (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ, ახორციელებს საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და დაფინანსების შესაძლებლობების მოძიებას, უზრუნველყოფს ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიღებას, საგრანტო წინადადებების და მასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას, მონიტორინგს და შეფასებას, ახორციელებს ასევე კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

2026 წლის პირველ და მეორე კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის განხორციელების მიზნით ექვს მოქალაქეს გადაეცა ფართობი საკუთრებაში და გაიცა შესაბამისი საკუთრების მოწმობა .

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე მუნიციპალურ საკუთრებაში დარეგისტრირდა შემდეგი ქონება:

- ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №15გ-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი №29.08.32.411;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში მდებარე 119 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი №29.17.32.636.

სამსახურის მიერ მომზადებული შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული იქნა შემდეგი ქონება:

- ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №27-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკადასტრო კოდი №29.08.34.107) პირველ სართულზე განთავსებული 13.25 კვ.მ ფართობი — ინდივიდუალურ მეწარმე „მურთაზ კანკაძეზე";
- ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩა №1ა-ში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდი №29.08.32.688, რომელიც მოიცავს 45 503 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს, მათ შორის 26 მაისის სახელობის ცენტრალურ საფეხბურთო მოედანს — ა(ა)იპ „წყალტუბო არენაზე";
- ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობის (საკადასტრო კოდი №29.08.34.014) პირველ სართულზე განთავსებული 50.0 კვ.მ ფართობი — სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოზე;
- ქალაქ წყალტუბოში, ბესიკის ქუჩა №17-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საბავშვო ბაღის 2 ერთეული შენობა-ნაგებობა და მათზე დამაგრებული 4 219.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი №29.08.34.110 — ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე";
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, 1-ლი ქუჩა №100-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საბავშვო ბაღის 2 ერთეული შენობა-ნაგებობა, საერთო ფართობით 883.78 კვ.მ, და მათზე დამაგრებული 5 945.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი №29.14.38.282 — ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე";
- ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 33.8 კვ.მ ფართობი — შშმ პირთა პოლიტიკის ინსტიტუტზე.

სამსახურის მიერ მომზადებული შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, ელექტრონული აუქციონების შედეგად გასხვისდა:

- ორი ერთეული მოძრავი ქონება (ავტომანქანა), საერთო ღირებულებით 43 250.00 ლარი;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში მდებარე უძრავი ქონება, საკადასტრო კოდი №29.09.33.059, ღირებულებით 38 070.00 ლარი;
- მეორადი ლითონის ფერმა — 13 ცალი, ღირებულებით 17 375.60 ლარი.

ელექტრონული აუქციონის შედეგად ასევე გაიცა გარე რეკლამის განთავსების ნებართვები, საიდანაც მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 21 450.00 ლარი.

შენობა-ნაგებობების იჯარიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 54 768.26 ლარი, ხოლო მიწის იჯარიდან — 41 665.44 ლარი.

სამსახური მუდმივად ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების მონაცემთა ბაზაში ასახვას, აღრიცხვას, განახლებასა და განკარგვას, მათ შორის ელექტრონულ პროგრამა „eproperty.ge"-ში.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ განხორციელდა ადმინისტრაციული წარმოება სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან შემოსულ წერილებზე, რომლებიც ეხებოდა მიწის ნაკვეთების განკარგვის საკითხებს, მათ შორის იჯარასა და პრივატიზებას.

ასევე, განხორციელდა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსულ წერილებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო უძრავი ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის საკითხებთან.

სამსახურის მიერ მომზადდა „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი 2026–2037 წწ.", რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიან ხედვას, პრიორიტეტულ მიმართულებებს, სტრატეგიულ მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს.

ზემოაღნიშნულთან ერთად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური საანგარიშო პერიოდში ახორციელებდა კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით, მერის დავალებებითა და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებსა და ფუნქციებს.

სამსახურის საქმიანობა მიმართული იყო მუნიციპალური ქონების ეფექტიანი მართვისა და განკარგვის, ქონებრივი რესურსების აღრიცხვისა და მოწესრიგების, მუნიციპალიტეტის საკუთრების ზრდისა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისკენ.